

**ბიორგი მინხალაძე****ენოზრავილი ეპიგრაფი საქარტველოში რუსთა****ლაკვილიანი,****ანუ „რან ბინახავს, ვეღარ ნახავ“**

კავკასიაში გასაბატონებლად რუსეთის იმპერია წარმატებით იყენებდა „გათიშე და იბატონე“-ს ძველ, ნაცად ხერხს. პირველსავე წლებში ქართველ თავადაზნაურობაში საოცარი გათიშულობა, დაბნეულობა ჩამოვარდა; „ყველანი რაღაც თოკებით შეკრულს, ანუ სულ ერთიანად მახეში გაბმულებს ვგავდითო“ (ალ.ორბელიანი). ძნელი გახდა მეგობრის, ნათესავისა თუ რუსების „მეთვალის“ გარჩევა. ყველამ ეჭვის თვალთ დაუწყეს ერთმანეთს ყურება. „ასეთი საიდუმლო რაღაც ცბიერება არის ჩვენში, ასეთი დაუნდობლობა ჩამოაგდეს... ეს წყალობა მოგვიტანეს ჩვენ რუსებმა, ამის მეტი სხვა სულ არაფერი“ (ალ. ორბელიანი). ამ საყოველთაო განწყობას გამოხატავს პოეტის სიტყვებიც - „გუშაგთ სიმრავლით თვალთა შინება, მათგან უწყალოდ ჭირთა სმინება, რადგან ჩრდილოთ მზემ ასრეთ ინება“ (თეკლე ბაგრატიონი). დაბეზლების, „შტიკებზე აგების“ შიშით რუსებზე ხმას ვინ ამოიღებდაო. დედებიც კი ბავშვებს „რუსით“ აშინებდნენ - „დაჩუმიდი, თორემ აგერ კარებზე რუსები არიან, მოვლენ და ახლავ წაგიყვანენ“ (ალ. ორბელიანი). მუქარას შიგადაშიგ „ალერსი“, მოქრთამვაც ენაცვლებოდა. ამ მზაკვრობით რუსებმა ბევრის გადაბირება შესძლეს. დაახლოების, „გაშინაურების“ პოლიტიკის წარმატებული გამტარებელი იყო მეფისნაცვალი მ.ვორონცოვიც. ამ პერიოდში, XIX ს-ის 40-იან წლებში, რუსები სამხედრო წარუმატებლობას განიცდიდნენ კავკასიის თავისუფლებისმოყვარე, მებრძოლი ხალხებისგან. თვითონაც აღნიშნავდნენ - „კავკასიაში ხშირად არ გვიმარჯვებდაო“ (კ. ბოროზდინი). ამიტომ საჭირო იყო ადგილობრივ თავად-აზნაურობასთან დაახლოება, მათი თანადგომის მოპოვება. მ. ვორონცოვის სამოქმედო გეგმაც იმ უმაღლეს სტრატეგიულ მიზანს ემსახურებოდა, რაც იყო ახლადშემოერთებული ხალხების სრული შერწყმა, ასიმილაცია, ანუ როგორც თავად ამბობდნენ - „გარუსება“ (კ. ბოროზდინი). ამას, მათი თქმით, ამ „ნახევრად ველური“, „აზიელი“ ხალხებისთვის, დიდ სიკეთით ლამის რუსეთის ცივილიზატორულ „მისიად“ აღიქვამდნენ, „კავკასია რუსი ხალხის ხასიათის

სამჭედლოა“(კ. ბოროზდინი). სიამაყითაც აღნიშნავდნენ, რომ ინდოეთში ბრიტანეთის იმპერიის მიზანი მხოლოდ ფულადი მოგებაა და მათ შინაურ წყობაში არ ერევაო, ხოლო „ჩვენ რუსები კი ჩვენი სისტემის წყალობით ბოლოს მოვუღებდით კასტურ წყობასო“(იხ. კ. ბოროზდინი, სამეგრელო). მ. ვორონცოვის „ლიბერალიზმი“ წვრილმანებშიც კი ამ უმაღლეს სტრატეგიულ მიზნებს ემორჩილებოდა. მეფისნაცვლის ყოველი სამუშაო დღე იმით იწყებოდა, რომ სასეირნოდ გამოდიოდა თბილისის ქუჩებში. უკან ერთი ყაზახრუსი მოჰყვებოდა და მისი „კალოშები“ და ქოლგა მოჰქონდა. ჯერ მშენებლობებს ეწვეოდა, კალატოზებს გამოელაპარაკებოდა, თარაზოთი კუთხეებს შეუსწორებდა. მერე ბაზარში შეივლიდა, ბაყლებს საუბარს გაუბამდა. მაზრებში, სოფლების შემოვლისას გლეხებს რჩევას აძლევდა – როგორ უკეთ მოეწყოთ ნათესები, მოესპოთ კალიები და ასე შემდეგ. კიდევ ერთი სახასიათო ეპიზოდიც; ჯერ კიდევ ჭაბუკი, თბილისში ყოფნისას, 1803 წ.-ს, მ. ვორონცოვი მოხიბლულა ქართველი ქალების ძვირფასი სამკაულებით. მეფისნაცვლობის პერიოდში კი, შემკულობის ასეთი ჩვევა ვეღარ იხილა, რადგან ამ ხნის განმავლობაში სამკაულები, ძვირფასეულობა, რომელიც ყოველ ქართულ ოჯახში ინახებოდა და დედიდან ქალიშვილზე, რძალზე გადადიოდა, ქართველებმა გაყიდეს ან რუსეთიდან შემოტანილ ნივთებზე გადაცვალეს, რადგან რუსი მოხელეები „უგვანონი და უმეცარნი ვერ აფასებდნენ ამ სამკაულებს“(პლ. იოსელიანი). მ. ვორონცოვმა კვლავ აღადგინა საგანძურის ოჯახებში შენახვისა და შემკულობის ძველი წესი. ასეთი პოლიტიკური პროგრამა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ თავად რუსები ამბობდნენ, „აქამდე უნდა დაგვენიშნა ვორონცოვი კავკასიაში... მისმა პროგრამამ შეგვაძლებინა კავკასიის სრული დაპყრობა“(კ. ბოროზდინი). მ. ვორონცოვის მმართველობის პერიოდიდან ყველაფერი გზას უთმობს ევროპულ ცივილიზაციის „დემონს“ – კომფორტს, ფუფუნების ახალ საგნებს, უცხო სანახაობებს. თბილისი ამ დროიდან კავკასიის „კალიფორნია“ ხდება – საშოვარზე ჩამოსულთა დიდი რაოდენობის გამო. ამავე პერიოდში მოხერხდა ისიც, რომ სამურზაყანო, ეს გამუდმებული მოცილეობის საგანი შერვაშიძესა და დადიანს შორის, ჩამოერთვათ დადიანებს და იქ უშუალოდ რუსული ადმინისტრაცია დამყარდა ისე, რომ გონს მოსვლა ვერც ერთმა მხარემ მოასწრო და ორივე წაგებული

დარჩა. რუსული წესდებისა და ჩვევების ხელოვნურ, ნაძალადევ დანერგვას თან სდევდა საუკუნოებით დამდგარი ხალხის თვითშეგნების, საქმიანობის რღვევა. ეჭვქვეშ დადგა ყოველივე ის, რაც აქამდე ხალხის ღირსებას, მის სიბრძნეს წარმოადგენდა და რომელსაც იმპერიული ამბიციისა და ცინიკით, ქედმაღლობით უყურებდა. დავიწყებას ეძლეოდა სული „ძველი ერთობისა და პატიოსნების“. ახალმა წესრიგმა მოიტანა ის, რომ ქუჩებში ლოთებმა და მაწანწალებმა იმატეს, როცა ადრე ისინი ხსენებაშიც არ იყო. თუ მანამდე სახლის კარებს ღამითაც არ კეტავდნენ, უკვე დღე არ გავიდოდა ქურდობა ან ყაჩაღობა არ მომხდარიყო. გაქრა მამა-პაპური მეომრული თამაშობანი, მათი ადგილი კი „ტანცმა“ და „მწვანე მაუღზე კართით ბრძოლამ“ დაიკავა. თავად რუსები აღნიშნავდნენ, რომ მას შემდეგ რაც მამა-პაპური ცხოვრების მოწყობა დაივიწყეს, ქართველებში ლოთობამ და აგრესიულობამ იმატა. ადათის, ტრადიციულის „დავიწყება“ კი რუსეთის ასიმილაციურ პოლიტიკაში შედიოდა. ამ წინააღმდეგობამ ათქმევინა დიდ ილიას, რომ ასეთ „გავეროპელებას“ ზოგიერთთაგან გააკიცხული ისევ ჩვენი ვითომდა „ნახევრადველურობა“ გვერჩივნა... ამ ვითომდა გავეროპელებამ ჩვენი ხალხის „ქოჩორზე“ გადაირბინა“ (ივერია. 1886, 40). ბევრმა დაინახა ქართული ადათის, ცხოვრების წესის უპირატესობა რუსულ მმართველობასთან მიმართებაში და „მისტიროდნენ ძველ კეთილ დროებას... სიუხვესა და იაფობას“. რუსებისგან დაწუნებული ეს ადათი კი „სულ სიმართლესა და სახარების რიგზე იყო შედგენილი“ (ალ. ორბელიანი) და სრულებით გამოხატავდა ხალხის ხასიათს, მის ღირსებას. იგი გაცილებით დემოკრატიული და „გონიერი“, ანუ „უმოკლესი და უმეტეს მართალმსაჯულებითი“ იყო, ვიდრე რუსების სამხედრო-ბიუროკრატიული წესრიგი. ამ ზნე-ხასიათით იყო, რომ ბატონყმობასაც აქ არ ჰქონდა ისეთი უკიდურესი ფორმები როგორც რუსეთში და ღამის „მამა-შვილურ“ ხასიათს ატარებდა. არც თავადი და არც გლეხი ადათით დადგენილ წესებს იოტისოდენად არ გადაუხვევდა. ასეთი დემოკრატიულობა კი რუსეთში თავის დღეში არ ყოფილა. მამამძუძეობა და დედამძუძეობა იქ არ იცოდნენ. ქართველ მემამულესაც იმდენი უფლება არასდროს არ ჰქონია, რამდენიც რუს მებატონესო; ყმას ადათით რაც ემართა, იმაზე მეტს ვერასდროს მოთხოვდა. ყმაც მხოლოდ ჩვეულებით დადგენილ

სამსახურს ასრულებდა; სხვა საქმეს, რომც მოეკლათ, ხელს არ ახლებდა. კომიკური სიტუაციებიც კი იქმნებოდა; ზოგჯერ ბატონის სახლში რამდენიმე ათეული მზარეული ტრიალებდა ერთის მაგიერ, რადგან ვისაც მზარეულობა ემართა, მთელი მისი ჯალაბობა და შთამომავლობა სხვა საქმეს არ გააკეთებდა, ისე რომ ზოგჯერ მჭამელი საქმელზე მეტი იყო. სუფრაზეც მთავრის გვერდით უკანასკნელ მათხოვარს, ხეიბარს შეეძლო დაჯდომა. ასევე თუ კომლს ბატონისთვის ემართა ზურგით შეშის მოზიდვა, მთელი მისი შთამომავლობა ზურგით ეზიდებოდა შეშას. ბატონს ურემიც რომ მიეშველებინა მისთვის, მაინც ზურგით მოიტანდნენ შეშას ადათის ძალით. ასეთი ძალა ჰქონდა ღვთისმომღებელ ქართველებში ადათს, რომელიც „ჯვარსა და სახარებაზე იყო დაფუძნებული“. ამიტომ, ორივე მხარე ერიდებოდა უსამართლობას, შეურაცხყოფას; ხოლო ბატონის სამსახური, პატრონის სასახლეში ყოფნა – როგორც ეკლესიაში, ხოლო ბატონის საიდუმლო – ვითარცა აღსარებაო. ყოველივე ამის უმეცარი რუსი მოხელეები კი ფიქრობდნენ, რომ საქართველოშიც მებატონეები ისევე სასტიკად ექცეოდნენ ყმებს როგორც რუსეთში და „ცივილიზატორული“ იდეით შეპყრობილებმა თავიანთი ბიუროკრატიით გლეხებს ადათით მინიჭებული ისტორიული უფლება წაართვეს. ადათი „სუდებით“ შეცვალეს, რამაც აქ ნამდვილი რუსული ბატონყმობა მოიტანა – წოდებებს შორის აგრესია- გაუცხოებით და ეს ყოველივე „მამაშვილობის“ მაგიერ. აქაურ ადათში გაცნობიერებული ზოგიერთი რუსი მოხელეც კი აღნიშნავდა, რომ „ბატონ-ყმობა აქ თავის დღეში არ ყოფილა“ (ბატონყმობა „რუსული“ გაგებით). გაუგებარი, ხალხის თვითმყოფადობასთან შეუთავსებელი ბიუროკრატია ახალი მიზეზი ხდებოდა მექრთამეობისათვის, ექსპლუატაციისათვის. „განა კაცი დააწყობს ესრეთსა სამსაჯულოსა?... ესეოდენი და ესრეთი მექრთამეობა შესაძლებელია სადამე?“ (პ. იოსელიანი). ყველაფერი ეს კიდევ უფრო ხელს უწყობდა ზნეობრივ დაქვეითებას. სწორედ ამას აღნიშნავს ცნობილი ქართველი პოეტიც, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის შთამომავალი გიორგი შარვაშიძეც, რომ „მრავალი უკვე კეთილდღეობასა და სიამოვნებას ჰპოვებდა ჯამუშობასა და მახეზღრობაში“. ბევრისაგან მაინც მოულოდნელობა იყო რუსთა ასეთი უნდო და ცინიკური დამოკიდებულება ადგილობრივი ზნე-ჩვეულებებისადმი. აქაური

ადათის მიმართ „ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი, არა დამფასებელი ღირსებათა, უცნობნი კაცთა“ (პ. იოსელიანი). გაცივებულნი ამბობდნენ, „თურმე რა ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალითა და სუსტინი ზრდილობითა“. ამიტომ, კიდევ უფრო მწვავედ აღიქმებოდა კითხვა „როგორ ჩაბარდა დიდ რუსეთის იმპერიას ასე კეთილად დაწესებული ქართული სამეფო?!“ (პ. იოსელიანი).

ასიმილაციური პოლიტიკა კი კურორთებამდეც მიდიოდა; ბიჭებს თოვლის გუნდით თამაშობას უშლიდნენ, ბაყლებს ხმამაღლა ყვირილს, ქალაქის მთავარ ქუჩებში ზურნის დაკვრას კრძალავდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ „ყეენობაზე“ და სხვა სახალხო გართობა სანახაობებზე, რომლებიც პოლიციის მიერ იდევნებოდა. ჯერ კიდევ პირველსავე წლებში ბიჭებს შურდულები ჩამოართვეს. ამ ბიბლიურ იარაღს დავით მეფისას კი ყოველ ქართველს უნახავდით ჯიბეში. ტრადიციულ თამაშობათა აკრძალვით ხალხს საკუთარ წარსულთან, წინაპართა სიბრძესთან შერტყობის საშუალებას აცლიდნენ ხელიდან, რითაც ერთიანობის გრძნობას ასუსტებდნენ მათში. ისე, რომ, „გოროდვოვის დანახვაზე სული გვძკვრებაო“. ყველაფერში ცდილობდნენ, რომ ამ სამხრეთული ცის მცხოვრებთა მოლხენა, საერთოდ ცხოვრების წესი თავის თარგზე „გამოეჭრათ“ რუსეთის შიდა გუბერნიების მცხოვრებლებთან. მაშინ როდესაც, ტრაქტატის პირობებით, სამართალი და სჯული, ანუ ადათი ქართული უნდა ყოფილიყო (იოანე ბატონიშვილი). ისე როგორც მეფობა, სამეფო მემკვიდრეობა არ უნდა მოშლილიყო. როგორც უკანასკნელი მეფე ქართლ-კახეთისა გიორგი XII წერდა იმპერატორ პავლეს, „რათა არა აღეყენოს მეფობა სახლისაგან ჩემისა“ პლ. იოსელიანი). საქართველოს მეფე უნდა წოდებულიყო „საქართველოს გამგედ“ და იმპერატორის მოადგილედ ისე, როგორც სპარსთა ყეენების დროს იწოდებოდნენ „გურჯისტანის ვალებად“ – გამგებლებადო. მაგრამ რუსი გენერლების (კნორინგი, ლაზარევი) და ადგილობრივ სამეფო სახლის მტერთა შეთანხმებული მოქმედებით, არცერთი ეს პირობა არ შესრულდა; ერთი გადმოცემით, როდესაც ერთ-ერთ ბრძოლაში რუსთა მხარეზე მებრძოლი ყოფილი სარდალი იოანე ორბელიანი სპარსელებმა ხელთ ჩაიგდეს, ფათალიხანმა მას მკერდიდან რუსული მედალი მოგლიჯა და მიმართა – „ამისათვის უღალატე შენს მეფესა და ქვეყანასა?“ (პ. იოსელიანი). იოანე

ბაგრატიონი კი თავის „კალმასობაში“ მეფისა და ქვეყნის ორგულად და „ძმამკვლელად“ მოიხსენიებს მეფის „პასლენიკს“, გარსევან ჭავჭავაძეს. აფხაზთა უკანასკნელი მთავარიც, მიხ. შარვაშიძეც ხშირად აღნიშნავდა, რომ მთელ რუსეთში მას მხოლოდ ორი კაცი შეხვედრია ვინც ნდობასა და პატივისცემას იმსახურებდა. ესენი იყვნენ თავად ხელმწიფე იმპერატორი და მიტროპოლიტი ფილარეტი და „რაოდენ დასანანია, რომ ჩვენს შორის იდგა მთელი წყება ადამიანებისა, რომელთა მიმართ მე მხოლოდ ზიზღს ვგრძნობდიო“ (იხ. გ. შარვაშიძე). რეალურადაც, ეს უზარმაზარი სამოხელეო აპარატი აუცხოებდა და ამორებდა თავის ხალხს რუსთა ხელმწიფეს და ის იყო „ვეითარცა ტყვე ვეზირთა ხელთა შინა, რომელთაცა უწოდებენ მინისტრებად“ (პ. იოსელიანი). ქართული მეფობა კი „მამაშვილობას“ ჰგავდაო. ასიმილაციის ამ მზაკვრულმა და სამარცხვინო პოლიტიკამ, უცხო ძალის გაბატონებამ ათქმევინა აფხაზთა უკანასკნელ მთავარს, რომ „იცი რა არის რუსი, ტილია, ფეხზე რომ დაისვამ, უეჭველად თავზე აგაცოცდება“ (იხ. გ. შარვაშიძე). აფხაზთა რჩეული ნაწილი, მათი ელიტა კი ყოველთვის საერთო ქართული თვითშეგნების მატარებელი იყო, რასაც საფუძვლად ედო ნათესაობითი და მუდმივი თანაცხოვრებით გამოწვეული ზნე-ხასიათის სიახლოვე. საუკუნეების მანძილზე ურთიერთობების, კულტურის ენა აქ მუდამ ქართული იყო. ეს საერთო ისტორიული ბედისადმი კუთვნილება ათქმევინებს აფხაზ მთავართა მემკვიდრეს, გიორგი შარვაშიძეს, „ჩვენი სამშობლო ივერია“. მათმა თვითშეგნებამ ის ძველი კულტურული ტრადიცია შემოინახა როცა „ივერია“, – სრულიად საქართველო მთელ კავკასიას მოიცავდა და აფხაზეთიც, ამ გაგებით, ერთ-ერთი „საქართველო“ იყო, მხარე ქვემო ივერიაში, ანუ დასავლეთ საქართველოში. ეკლესიის წილიდან მომდინარე ყოველთა კავკასიელთა გენეტიკური (ნათესაობითი) და კულტურული ერთობის იდეა (გ. მერჩულე, ლეონტი მროველი ეპისკოპოსი) საუკუნეები ცოცხალია ხალხის თვითშეგნებაში. საგულისხმოა, რომ „თარგამოსის ძეთა“, ანუ კავკასიელთა ერთობის იდეა ძირითადი მოტივია ერეკლე II შვილიშვილის ალ. ორბელიანის პოემაში „დავით აღმაშენებელი“. ასე, რომ აფხაზთა მაღალმა წოდებამ ქართული თვითშეგნება ბოლო დრომდე შემოინახა. ქართულ ენას ეს წოდება ბავშვობიდანვე ეზიარებოდა, რადგან პირველ სწავლა განათლებას დედებისგან იღებდნენ. აფხაზ

თავადთა შვილები დედას ქართულად ეძახდნენო. ბავშვებს გასაზრდელად მეგრულ ძიძებს აძლევდნენ. სამეგრელოს მაღალი წოდება კი აფხაზ ძიძებს აზრდევინებდნენ შვილებს. ამ გამუდმებულ ურთიერთობებში ყალიბდებოდა საერთო ზნე-ხასიათი, ჩვევები, ანუ „ადათი“. „მათი წირვა-ლოცვა, მწიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი იყო ქართული და ქართული. თავის თავის სხვა ვინმედ წარმოდგენა არ შეეძლოთ და სხვებს რომ ეთქვათ, შეურაცხყოფად და გააკიცხვად მიიღებდნენ“ (აკაკ). აფხაზთა მთავრის სამდივანმწიგნობროც (კანცელარია) ქართულ ენაზე აწარმოებდა მიმოწერას რუს მოხელეებთან და ერთგული იყო ანტონ კათალიკოსის მიერ შემუშავებული სამწიგნობრო სკოლის. გავიხსენოთ, რომ აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს უფლებამოსილებაც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა მე-17 საუკუნემდე. ერთიანობის შეგნება ცოცხალია 1916 წელსაც, როცა აფხაზთა რჩეული წოდებისაგან შემდგარი დეპუტაცია სთხოვს კავკასიის მეფისნაცვალს, რომ სოხუმის ოლქი ცალკე გუბერნიად ჩამოყალიბდეს ან შეუერთდეს ქუთაისის გუბერნიას და არავითარ შემთხვევაში შავი ზღვისპირეთის გუბერნიას, ხოლო სოხუმის ეპარქია შეუერთდეს საქართველოს საეგზარქოსოს, რომელთანაც იგი ისტორიულად იყო დაკავშირებული. ასევე საგულისხმოა, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარიც სთხოვდა რუსეთის მთავრობას, დასწეულელებულს უკანასკნელი წლები გაეტარებინა ქუთაისში, ზაფხულობით კი რაჭაში. მაგრამ ბოლოს, როგორც ცნობილია, მაინც იძულებით გაასახლეს ქ. ვორონეჟში, სადაც მალევე გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ რუსები ფარული ანტირუსული განწყობის გაღვივებაში სდებდნენ ბრალს მ. შარვაშიძეს, რადგან უკმაყოფილონი იყვნენ, რომ აფხაზები უხალისოდ შედიოდნენ რუსულ სასწავლებლებში, არ უნდოდათ რუსული ენის შესწავლა და საერთოდ, არ თანამშრომლობდნენ რუსებთან.

საერთო ეთნოკულტურის - „ადათის“ გამოხატულება იყო ჩვეულება, რომლითაც ყოველი აფხაზის ოჯახში ინახებოდა საუკეთესო წითელი ღვინო დიდი ქვევრით, რომელიც წმინდა გიორგის სახელზე ჰქონდათ შეთქმული და აღდგომას გახსნიდნენ. ასე იქცეოდა ყოველი აფხაზი განურჩევლად რელიგიური აღმსარებლობისა. ღვინის ზედაზე კი მთელს საქართველოში

გავრცელებული საერთო წესი იყო, ადრეული ქრისტიანობიდან მომდინარე. ასევე ყველაზე მეტი მოკრძალება და რიდი აფხაზებს ილორის წმინდა გიორგისადმი ჰქონდათ, რომელსაც „ელირ-ნიხა“-ს ეძახდნენ. საგულისხმოა კიდევ ერთი ეთნოკულტურული ეპიზოდიც. რუსი მოახალშენეები ვერაფერს უხერხებდნენ ცადაწვდილ ხეებზე გაშვებულ ვაზებს. აფხაზეთში, ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, მაღალ ხეებზე გაშვებული მსხვილი ვაზები ხარობდა, რომელთაც ერთი კაცი ხელს ვერ შემოაწვდენდა. თითოეული ძირი კი 30 ფუთამდე (თითქმის ნახევარ ტონამდე) ყურძენს იძლეოდა. ასეთი მსხვილი ვაზებისგან ფიცრებს აკეთებდნენ და მათგან ეკლესიების კარებს ამზადებდნენ. ასეთი ვაზებით მთის ბობოქარ მდინარეებზეც „ბონდის“ ხიდებს გააბამდნენ. ასეთი მრავალსაუკუნოვანი, ვეება ვაზები მთელს საქართველოში იყო გავრცელებული, მათ შორის თბილისშიც, მე-19 საუკუნის დასაწყისში შეზღვებოლით 500 წლოვან ვენახებს; ხოლო უზარმაზარ ქვევრებში ზოგჯერ დამხრჩვალ რუს ჯარისკაცებს პოულობდნენ. რთველი კი მთელს საქართველოში ზემო იყო. მაღლარი ვენახის კრეფისას „ა-გიდელი“-ს გადაძახილი სოფლიდან სოფელს სწვდებოდა გურიისში. ხეებზე მოკალათებული მკრეფავები თან „ყბასაც უქცევდნენ“- მასხრობდნენ, შაირობდნენ. რთველში გამარჯვებულს კი ღორის თავს ჩუქნიდნენ. მეგრელებიც ასევე ციყვებივით დახტოდნენ ხეებზე და კრეფდნენ ვაზებსო. ამ მხარეში ასე კრეფდნენ ყურძენს „ლამის არგონავტების დროიდან“(ს.ცაიშვილი). ამგვარ ჩვევათა უმეცარმა რუსებმა კი გადაწყვიტეს ის ხეები გაეჩხათ, რომლებზეც ვაზი იყო გაშვებული, რადგან მთელი მოსავალი მეგრელებს რჩებოდათ; ამ ფაქტსაც რუსი მოხელეები შუღლის გასაღვივებლად იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ მევენახეობის პირვანდელ სამშობლოდ მიჩნეულ საქართველოში რუსმა მოახალშენეებმა (კოლონისტებმა) ყირიმიდან თუ სამხრეთ რუსეთიდან ევროპული ვაზის ჯიშების შემოტანა დაიწყეს. ეს პროცესიც სწორედ მ. ვორონცოვის მმართველობიდან გააქტიურდა. ამან ვაზის სოკოვანი დაავადებების გავრცელება მოიტანა, რამაც მრავალი ადგილობრივი ვაზის ჯიში იმსხვერპლა.

ასე, რომ ასიმილაციური პოლიტიკა ხელოვნურად არღვევდა ხალხის ბუნებრივი განვითარების პროცესს, მის დამდგარ ეთნოკულტურულ სახეს. საუკუნეთა განმავლობაში ეროვნული



ეკლესია და სახელმწიფო, მირონცხებული მეფის მეთაურობით იცავდა და აკანონებდა ხალხის ზნე-ჩვეულებებს, შეხედულებებს, ანუ ხალხის ყოფიერების ყველა მხარეს, განაპირობებდა რა მის ტრადიციას. ამ ბუნებრივ – ისტორიული ზღუდის გაუქმებით კი ხალხის თვითმყობადობას, ღირსებას საფრთხე დაემუქრა. ამგვარი სამძიმო აღმოჩნდა რუსეთის „მამინაცვლობა“ და „დედინაცვლობა“ საქართველოსთვის, ანუ ერთი ხატოვანი თქმით „მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰფარესა“.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი. სოხუმი 1934
2. პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი XII. თბ. 1978
3. გიორგი შარვაშიძე. სოხ. 1946
4. ს. ცაიშვილი. პეტრე ჭარაია. თბ. 1953
5. ილ. ჭავჭავაძე. სახელდახელო. ივერია. 1888, 243
6. ალ. ორბელიანი. მოგონება. ქართული მწერლობა. ტ. VIII. თბ. 1992
7. ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე). ჩვენ გავაუცხოოთ ჩვენივე სისხლი და ხორცი? ჯვარი ვაზისა. №1 1990

**გიორგი ჩინჩალაძე**

**Этнографические эпизоды из владычества  
русских в Грузии**

Резюме

В данной работе проанализирован ряд этнокультурных эпизодов, которые, по нашему, характеризуют ассимилятивную политику России, что выразалось, в первую очередь, упразднением основополагающего фактора для бытия народа как исторической личности — государственности и независимости национальной церкви. Искусственное насаждение совершенно неприемлемого, чужого правопорядка, было серьезным ударом по самосознанию народа, устоявшемуся веками, его отношению к добру и справедливости. На деле явилось, что местный обычай, выражающий историческую непрерывность и достоинство народа, был гораздо более „мудрым“ и демократическим, чем военно-бюрократический порядок империи.